



2025

გორაკით
შბა-ხერ ხერს!



მს. 2

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი დავით სონღულაშვილი სამინისტროს თანამშრომლებს წარუდგინა



მს. 9

5 ეროვნული პარკი გაითრის სეზონის აღმოსაჩენად

მს. 2

ქვესადგური „წყალტუბო 500“ გაიხსნა

ახალი ქვესადგური საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის გაძლიერებას და ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას



მს. 10-11

წარმატების ისტორიები!



მს. 13

წინასახალწლოდ წინვოვანი ხე-მცენარის უკანონო მოპოვებაზე კონტროლი გააძლიერდა



მს. 14

ადამიანის სავაჭარო გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები

საქართველოს ტყის საქმეთა მხარდაჭერის პროექტი

ECO.Georgia



პროექტის ECO.GEORGIA შესახებ გურიში შეხვედრა გაიმართა

მს. 6-7



ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე



მს. 15

სურსათის ოთხ ნიმუში აკრძალული საღებავები აღმოჩნდა



მს. 16

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახეობები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი დავით სონღულაშვილი სამინისტროს თანამშრომლებს წარუდგინა

უნწყების თანამშრომლებთან შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა დავით სონღულაშვილის მრავალწლიან გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე. ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ახალი მინისტრი კარგად იცნობს სფეროს და ის წარმატებას მოუტანს ქვეყანას როგორც გარემოს დაცვის, ისე სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

პრემიერ-მინისტრმა სამინისტროს მიღწევებში ყოფილი მინისტრის, ოთარ შამუგიას წვლილზეც ისაუბრა და მას მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ქვესადგურის „წყალტუბო 500“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო

წყალტუბოს ახალი ქვესადგური საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის გაძლიერებას და ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.



ენერჯეტიკის სექტორის განვითარების ხელშეწყობა ჩვენი სამთავრობო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და არ დავიშვრებთ ძალისხმევას, რათა მაქსიმალურად გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის ენერჯოდამოუკიდებლობა, - ამის შესახებ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ქვესადგურის „წყალტუბო 500“ გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, წყალტუბოს ახალი ქვესადგური საქართველოს ელექტროგადამცემი

ქსელის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის გაძლიერებას და ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

პროექტის ღირებულებამ 19.8 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო მშენებლობის პროცესში დასაქმებული იყო 350 ადამიანი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო პარტნიორებს, დონორებს, თითოეულ ინჟინერსა და მშენებელს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

„ჩვენ გვაქვს ძალიან ამბიციური მიზანი, გვინდა, 2030 წლისთვის ელექტროენერჯიის გამომუშავებამ გადააჭარბოს ელექტროენერჯიის მოხმარებას და ამით საქართველო გახდება ელექტროენერჯიის თვალსაზრისით სრულად თვითკმარი და დამოუკიდებელი ქვეყანა. ვფიქრობთ, რომ 2028 წლისთვის გადავაჭარბებთ უკვე 8 000 მეგავატს ელექტროენერჯიის

გამომუშავების თვალსაზრისით და ჩვენი გეგმაა, 2030 წლისთვის გადავაჭარბოთ 10 000 მეგავატს. ქართველი ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობა გვაკისრებს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას, რომ შემდეგი 4 წლის განმავლობაში, მაქსიმალურად ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებაზე, მათ შორის, ელექტროენერჯეტიკის სფეროში ქვეყნის მაქსიმალურ წარმატებაზე. ჩვენი სამთავრობო პროგრამის სახელწოდება გახლავთ - „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“. ჩვენი ამბიციური საბოლოო მიზანია, 2030 წლისთვის გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა და ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კეთილდღეობის შესაბამის სტანდარტებს ვაკმაყოფილებდეთ. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა 1 120 000-ზე მეტი ამომრჩევლის და საქართველოს თითოეული მოქალაქის წინაშე. ეს არის ნდობა, რომელიც აუცილებლად პირნათლად უნდა შესრულდეს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ჩიკაგოში, გამოფენაზე U.S. Private Label Trade Show ექვსმა ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნო

საქართველოს სტენდზე საკუთარ პროდუქციას წარმოადგენდნენ კომპანიები:

- ალალი • ALALI
- კულა • Kula
- Georgias Natural Organic
- შპს აქვაგეო (Water Sno • წყალი სნო, მინერალური წყალი კობი • Mineral Water KOBi)
- მეღვინეობა იყალთო • Winery Ikalto
- შპს როიალნათსი

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული პროდუქცია: ორგანული წვევები, თხილი, ღვინო, წყალი, ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო ნაწარმი.

გამოფენის გახსნას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ფანცულაია და დირექტორის მოადგილე გიორგი ჯიბლაძე ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს, გამოფენაში 1,700-ზე მეტმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა 60-ზე მეტი ქვეყნიდან.



2024 წლის 11 თვის მონაცემებით ექსპორტირებულია 1 547 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 19%-ით მეტია (გასულ წელს ექსპორტირებული იყო 1 303 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია)

აღნიშნულ პერიოდში ექსპორტირებულია 197 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (112.5 ათასი ტონა) ხილი, მათ შორის ძირითადად ექსპორტირებულია - თხილი, ატამი და ვაშლატამა, მოცვი, მანდარინი, ვაშლი, ხურმა და კარალიოკი და სხვა. ასევე, ექსპორტირებულია დაფნის ფოთოლი და მწვანელი.

2024 წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან განხორციელდა 86 მლნ აშშ დოლარის (13.7 ათასი ტონა) თხილის ექსპორტი.

ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენს იტალია, ესპანეთი, გერმანია



მიმდინარე წელს მოცვის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა 28.2 მლნ აშშ დოლარი (5.0 ათასი ტონა), რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 33%-ით მეტია



2024 წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 25.2 ათასი ტონა მანდარინი, რომლის ღირებულებამაც 15.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა



ამავე პერიოდში, ექსპორტირებულია 32.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (8.2 ათასი ტონა) დაფნის ფოთოლი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 126%-ით აღემატება



2024 წლის 11 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 5.4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (23.8 ათასი ტონა) კარტოფილი, 2.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (2.3 ათასი ტონა) მწვანელი



ატამის და ვაშლატამას ექსპორტის ღირებულებამ 27.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (23.9 ათასი ტონა)



სოლომონ პავლიაშვილი: „ლაბორატორია მზად არის მიიღოს ნიმუშები და ჩაატაროს სრული დიაგნოსტიკა თევზის დაავადებების მიმართულებით“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე თევზმომშენებელ ფერმერებსა და ლაბორატორიული სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში აკვაკულტურის დარგის განვითარებაზე ისაუბრეს, განიხილეს არსებული შესაძლებლობები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თევზის დაავადებების დიაგნოსტიკის სფეროში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიღწევებს.

შეხვედრაზე ლაბორატორიის სპეციალისტებმა პრეზენტაცია წარადგინეს მეთევზე ფერმერებისთვის საჭირო კვლევების შესახებ.

„საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ლაბორატორიული კვლევების გაფართოების მიმართულებით. ვინაიდან ქვეყანაში იზრდება ხარისხიანი

პროდუქციის წარმოება და ექსპორტი, საერთაშორისო სტანდარტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა საჭირო და მოთხოვნადი ხდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა გაიმართა მიზნობრივ სეგმენტთან, შვეიცარულ და დავნერგეთ მეთევზე ფერმერებისთვის საჭირო ლაბორატორიული კვლევები. დღეისათვის, ლაბორატორია მზად არის მიიღოს ნიმუშები და ჩაატაროს სრული დიაგნოსტიკა თევზის დაავადებების მიმართულებით“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

აჭარაში გამართულ შეხვედრას აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის, ასოციაციის „ფორეჯი“, საკალმახე მეურნეობის „კაკიჯვარი“, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის საჩხერის რეგიონულ ლაბორატორიაში სურსათის დიაგნოსტიკის მიმართულებით კვლევების გაძლიერება იგეგმება

საჩხერეში გამართულ შეხვედრაზე, ლაბორატორიაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან ერთად, ლაბორატორიის შესაძლებლობებზე იმსჯელეს. სტუმრებმა ლაბორატორიაში არსებული საერთაშორისო დონის აპარატურა დაათვალიერეს.

„მნიშვნელოვანია რეგიონულ დონეზე მოხდეს ლაბორატორიული სერვისების გაძლიერება. ძლიერი ლაბორატორიის არსებობა პირდაპირ უწყობს ხელს ჯანსაღი პროდუქციის წარმოებას. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს მხარდაჭერით, აქტიურად აგრძელებს რეგიონული ლაბორატორიების განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის საერთაშორისო დონის კვლევის მეთოდების მიწოდებას“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრას საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გაგა დარბაიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მუხრან შამათავა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქუთაისის ლაბორატორიაში დიაგნოსტიკა საერთაშორისოდ აღიარებული კვლევის მეთოდებით მიმდინარეობს

ქუთაისის ლაბორატორიაში გამართულ სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორი ირაკლი გულეიანი დაესწრნენ.


შეხვედრის მონაწილეებმა, ლაბორატორიაში არსებული დიაგნოსტიკის მეთოდებთან და სიახლეებთან ერთად, აკვაკულტურის მიმართულებით ქუთაისის ლაბორატორიის

შესაძლებლობებზე და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

„ქუთაისის ლაბორატორია წარმოადგენს დასავლეთ საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ლაბორატორიას, ვინაიდან დიაგნოსტიკა უახლესი კვლევის მეთოდებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დაწერა მეთევზე ფერმერებისთვის საჭირო ყველა ლაბორატორიული კვლევა. დღეისათვის დღის წესრიგში დადგა თევზის დაავადებების მიმართულებით კვლევების რეგიონულ დონეზე დანერგვა, რათა ხელი შეეწყოს დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკას“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

ქუთაისის ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მუხრან შამათავა და ქუთაისის ლაბორატორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირება წარმატებით გაიწარმა

საკვალიფიკაციო ტესტირება ჩატარდა ვეტერინარიის მიმართულებით - წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ჭირის დიაგნოსტიკა სეროლოგიური და მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდებით.

საერთაშორისო ტესტირება ორგანიზებული იყო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით.

საკვალიფიკაციო ტესტირების ფარგლებში, ლაბორატორიამ მიიღო საგამოცდო პანელი, რომელიც გამოიკვლიეს ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის სპეციალისტებმა და დაიმსახურეს 100% შეფასება, რაც ადასტურებს, რომ ლაბორატორიას აღნიშნული დაავადების ზუსტი იდენტიფიკაცია შეუძლია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელში შემავალი რეგიონული ლაბორატორიები აქტიურად არიან ჩართულნი კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში.

სპეციალისტები ყოველწლიურად წარმატებით გადიან პროფესიულ საკვალიფიკაციო ტესტირებებსა და სწავლებებს.



საქართველოს ტყის სექტორის მხარდაჭერის პროექტი ECO.Georgia



პროექტის ECO.GEORGIA შესახებ გურიის რეგიონში შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ტყის სექტორის მხარდაჭერის პროექტის - „ECO.Georgia“ ფარგლებში, გურიის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კლიმატის მწვანე ფონდის, გერმანიის, შვეიცარიისა და საქართველოს მთავრობების თანადაფინანსებით ახორციელებს. პროექტის მიზანია ტყეების მდგრადი მართვის გზით ემისიების შემცირება, ენერგოეფექტური და ალტერნატიული საწვავის პოპულარიზაცია.



ახმეტა), ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, სოფლის განვითარების სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საბოგადოების (GIZ) პროექტის „ECO.Georgia“ ფარგლებში, უკანონო ტყითარებლობის მიმართულებით კონტროლის გაძლიერების მიზნით, მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა. საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაცია მიიღეს სოფლის განვითარების სააგენტოს იმ მიზნობრივი პროგრამების შესახებ, რომლებიც ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვასა და პოპულარიზაციას უწყობს

ხელს. აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები გულისხმობს, როგორც ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და ალტერნატიული საწვავის მწარმოებლების ხელშეწყობას, ასევე, მომხმარებლებისათვის ენერგოეფექტურ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის შექმნილი სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკა - დრონები, ფოტოხაფანგები, ვიდეორეგისტრატორები, პლანშეტები და სხვა. აღნიშნული აღჭურვილობა და შესაბამისი მანქანები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ეხმარება, უფრო ეფექტიანად განახორციელოს გარემოსდაცვითი მიმართულებით დარღვევების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.

საინფორმაციო შეხვედრაზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა გურიის (ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის) მოსახლეობას მათთვის საინტერესო თემებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ადგილობრივი თვითმმართველობების და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საბოგადოების (GIZ) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სააგენტოსა და დონორის ერთობლივი კონტრიბუციით, სამ სამიზნე რეგიონში - კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში 15 საქმიანი ეზო მშენებლობა დასრულდა; სატყეო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელებისთვის, შექმნილია მაღალი გამავლობის ავტომანქანები და სპეცტექნიკა; ტყის მართვის გეგმების შესამუშავებლად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. 2024 წლისთვის, ეროვნულ სატყეო სააგენტოს 55 „საქმიანი ეზო“ აქვს მოწყობილი, საიდანაც მოსახლეობა შეძლებს საშუალო და სამასალე მერქნის შექმნას. საქმიანი ეზოების მოწყობა ყველა მუნიციპალიტეტშია დაგეგმილი.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის, დავით დამენიას განცხადებით, მერქნული რესურსის სწორი გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მერქნის ლეგალური ბაზრის, ასევე ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და უკანონო ტყითარებლობის რისკების შემცირებას.

„მერქანზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და კერძო სექტორის ხელშეწყობის უმთავრესი პირობაა სატყეო გზებისა და საქმიანი ეზოების განვითარება. ჩვენი მიზანია, საშუალო მერქნის ღირებულება


მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საქმიან ეზოში დასაქმებულია მინიმუმ 7 ადგილობრივი მოსახლე, - აღნიშნა დავით დამენიამ.

საქმიან ეზოში დღევანდელი მდგომარეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 1 მ3 საშუალო (სათბობი) რესურსის ფასი (წიწვოვანი, ფოთლოვანი) შეადგენს:

- ფოთლოვანი მერქნიანი სახეობები - 105 ლარი (ტრანსპორტირებით);
- წიწვოვანი მერქნიანი სახეობები - 100 ლარი (ტრანსპორტირებით);

დადგენილი სარეალიზაციო ფასები ტრანსპორტირებით მოცემულია 30 კმ-ის ჩათვლით, ხოლო 30 კმ-ის ზევით ყოველ მომდევნო კილომეტრზე ფასს ემატება, 1 მ3-ისთვის - 0,50 ლარი; საშუალო მერქნული რესურსის დაპობა-დაჩეხვის მომსახურების ღირებულება 1კმ-ზე შეადგენს 20 ლარს. მოსახლეობა სერვისის საფასურის გადახდას შეძლებს ლიბერო ბანკის ტერმინალებით.

პროექტს, 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში (სამი სამიზნე რეგიონი: კახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი, რვა სატყეო უბანი - ყვარელი, დედოფლისწყარო, თელავი, თიანეთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი და





ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, პოლონეთში პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ

ღვინის ეროვნული სააგენტოს და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ კრაკოვში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „EnoExpo 2024“ ქართული ღვინის ხუთი მწარმოებელი მონაწილეობდა.



„EnoExpo“, რომელიც უკვე 21-ედ იმართება, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ გამოფენად ითვლება. გამოფენაზე ქართული ღვინის კომპანიებს, სამომავლო თანამშრომლობისა და ექსპორტის ზრდის მიზნით, შესაძლებლობა ჰქონდათ



ადგილობრივ იმპორტიორებსა და პირეკა სექტორის წარმომადგენლებს შეხვედროდნენ. პოლონეთი ქართული ღვინის საქსპორტო ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წლის განმავლობაში, არაერთი ღონისძიება იმართება. ღონისძიებების



მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მისი საქსპორტო პოტენციალის გაზრდაა. მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოდან პოლონეთში ექსპორტირებულია 6.1 მლნ ლიტრი ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 15%-ით აღემატება.

ქართული ღვინო აშშ-ში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „RAW Wine“ იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს და აშშ-ში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი რვა კომპანია ქალაქ ნიუ-იორკში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine 2024“ (The Artisan Wine Fair) მონაწილეობდა.

გამოფენა „RAW Wine“, რომლის ორგანიზატორი ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონია, თავს უყრის მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. გამოფენაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ქართულ ღვინოებს, წარმოების



უძველეს ტრადიციებს, ღვინის კულტურასა და ისტორიას გასცნობოდნენ. ტრადიციულად, როგორც ღვინის პროფესიონალების, ისე მომხმარებლების მხრიდან ქართული ღვინის მიმართ დიდი ინტერესი იყო. პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამერიკა ქართული ღვინის



ერთ-ერთ სტრატეგიულ საქსპორტო ბაზარს წარმოადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2013 წლიდან განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდას. მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 1,1 მლნ ლიტრზე მეტი ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 51%-ით აღემატება.



ქართული ღვინის წარდგენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში, ღვინის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მნიშვნელოვან გამოფენაში „ProWine Shanghai“, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა.

„ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, ბოლო წლების განმავლობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის მარკეტინგულ კამპანიას. „ProWine Shanghai“-ის და მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენები უმნიშვნელოვანესია ქართული ღვინის საქსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისთვის, რადგან მათ ღვინის წამყვანი სპეციალისტები, იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები სტუმრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. „ProWine Shanghai“-ს, ტრადიციულად, საერთო ჯამში, 100 ათასზე მეტი ვიზიტორი, მათ შორის, დისტრიბუტორი, იმპორტიორი და ღვინის პროფესიონალი ესწრება“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუბლაძე, რომელიც აღნიშნულ გამოფენას დაესწრო.

ამასთან ერთად, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო გამოფენის ფარგლებში გამართულ „ქარვისფერი ღვინის სიმპოზიუმზე“, რომელსაც ჩინეთის სახალხო

რესპუბლიკის წამყვანი ღვინის ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, სომელიეები, იმპორტიორები და დისტრიბუტორები დაესწრნენ. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 13 ქვეყანა, მათ შორის, იტალია, საფრანგეთი, ავსტრალია, ესპანეთი, ავსტრია და სხვა. სიმპოზიუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსოფლიო ღვინის ბაზარზე იზრდება ქარვისფერ ღვინოზე მოთხოვნა და, საქართველოსთან

ერთად, სადაც სათავეს იღებს ქარვისფერი ღვინო, მისი წარმოებით სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყანა ინტერესდება.

სიმპოზიუმის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის, მათ შორის, ქარვისფერი ღვინის, ქართულ და ჩინურ კერძებთან შეხამების მასტერკლასი, რომელსაც ცნობილი ქართველი შეფმზარეული თეკუნა გაჩეჩილაძე ჩინელ კოლეგასთან ერთად უძღვებოდა.





ქართული ღვინის წარდგენა ავსტრიაში, საერთაშორისო ფესტივალზე „Orange Wine Festival“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს და ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 30-მდე კომპანია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა.

„Orange Wine Festival“ წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფესტივალში ქართული ღვინის მარნების მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს

წარმომადგენლების წინაშე.

წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი მწარმოებლის 350-მდე ღვინო მსოფლიოს 13 ქვეყნიდან: საქართველო, ავსტრია, ჩეხეთი, საფრანგეთი, იტალია, ხორვატია, უნგრეთი, პოლონეთი, ესპანეთი, სლოვენია, სერბეთი, სლოვაკეთი და დიდი ბრიტანეთი. ფესტივალში ხალხმრავალი იყო; სტუმრები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ქართული ღვინის მიმართ. ვენაში გამართულ ფესტივალს ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ალექსანდრე

მაისურაძე დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ინტენსიურად ახორციელებს.



ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ



„RAW Wine“ ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორი ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იბაბელ ლევერონია.

„RAW Wine Berlin“- ზე ქართული ქვევრის ღვინის

წარდგენა მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, ღვინის მწარმოებლების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

მიმდინარე წელს, ბერლინის გამოფენაზე 19 ქვეყნის 150 ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი იყო წარმოდგენილი, მათ შორის, მეღვინეობის ტრადიციებით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა. ტრადიციულად, ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დიდი იყო ღვინის

პროფესიონალებისა და ვიზიტორების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2024 წელს, ქვევრის ღვინის მწარმოებელი მარნები „RAW Wine“-ის გამოფენებში ნიუ-იორკში, ტოკიოში, პარიზში, კოპენჰაგენსა და ლოს-ანჯელესში მონაწილეობდნენ.

ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2024“, ღვინის ეროვნული სააგენტოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი მონაწილეობდა.



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის წარდგენა ბელგიაში გაიმართა



ბელგიის სამეფოს ქალაქ გენტში, გამოფენაზე „HORECA EXPO“, ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

„HORECA EXPO“ სასტუმრო, რესტორნების და კაფეების ინდუსტრიის უდიდესი გამოფენაა. გამოფენა ასევე მოიცავს ვორქშოუებს, კულინარიის კონკურსებს და სემინარებს. „HORECA EXPO“-ს ტრადიციულად ათეულ ათასობით ადამიანი ესწრება. ქართული ღვინო

წარდგენილი იყო გამოფენის „Chef's Place“ ნაწილში, სადაც თავს იყრიან ტოპ-შეფები, სომელიეები, ბლოგერები და ჟურნალისტები. გამოფენაზე ქართული ღვინის მწარმოებელი სამი კომპანიის 10-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას

საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.



რა უნდა ვიცოდეთ ვაზის სხვლა-ფორმირების შესახებ



ვაზის სასიცოცხლო ციკლი, მისი აღმოცენებიდან სიბერემდე მოიცავს მრავალ ფიზიოლოგიურ თუ მეტაბოლიტურ ცვლილებას.

აღნიშნული ცვლილებები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორებიდან ზოგი ბიოტურია, ანუ ცოცხალი წარმოშობის, ნაწილი კი-აბიოტური, შესაბამისად არაცოცხალი. აბიოტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია სინათლე, ტემპერატურა, სეზონების ცვლილება.

ვაზი და მისი ფენოლოგიური განვითარება ყოველწლიურად მრავალ საინტერესო პროცესს მოიცავს აღმოცენებიდან-სიბერემდე. „ფენოლოგია [ბერძ. Phainō-ვუჩვენებ და logos- მოძღვრება] - ბიოლოგიის ნაწილია“, რომელიც სწავლობს მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის პერიოდულ მოვლენებს. მევენახეები ფენოლოგიაზე და მცენარის ცვლილებებზე დაკვირვებით ცდილობენ გაიგონ, თუ რა სჭირდება მცენარეს, რომ შესაბამისად მოიქცნენ

ფენოლოგიური საფეხურები სხვადასხვა მკვლევრის მიერ განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს 1-5, 1-7 საფეხურს, ხან კი მეტად დეტალურია. მევენახეობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული შკალა, შემდეგი საფეხურებისგან შედგება:

1. კვირტის გაშლა
2. ყვავილობა
3. გამონასკვა
4. შეთვალეზა
5. სრული სიმწიფე ანუ რთველი.

რთველის შემდგომ კი იწყება ვაზის ცხოვრებაში შედარებით მშვიდი, მოსვენების პერიოდი, რომლის დროსაც ვაზში სასიცოცხლო პროცესები შენელებულია და მცენარე ახალი გაზაფხულისთვის ემზადება. მევენახეები ფენოლოგიური ფაზების შესაბამისად, სხვადასხვა აგროპროცესებს მიმართავენ. სწორედ მოსვენების პერიოდში კი, მათ წინაშე ვაზის სხვლა-ფორმირების ამოცანა დგება გადასაჭრელი.

რას მოიცავს ეს ორი ტერმინი და რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი?

ვაზის ფორმირება, გულისხმობს მცენარისთვის გარკვეული ფორმის მიცემას, მისი ნაწილების სიგრძეში დაჯგუფებას ისე, რომ მცენარემ სინათლე ოპტიმალურად მიიღოს. გარდა ამისა მწვანე მასაში მოხდეს უკეთესი აერაცია, შემცირდეს სოკოვანი დაავადებების რისკი და ვენახის მენეჯმენტი გამარტივდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ვაზის გაკულტურებასთან ერთად, მისი ფორმირების აუცილებლობაც დგება.

ვაზის ფორმირების მრავალი სახე არსებობს, რომელთა შერჩევაც ვაზის ბიოლოგიური მახასიათებლების, კლიმატური ფაქტორების თუ ნიადაგის ტიპიდან გამომდინარე ხდება. ფორმირებიდან ჩვენთვის ნაცნობია ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, გუიო, კორდონი,



პერგოლა და სხვა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ისიც, რომ გარდა ფორმის შერჩევისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ვარჯის სიმაღლეც, რომელიც დაბალ, სტანდარტულ და მაღალ ტიპებად იყოფა.

ვაზის გასხვლა თავის მხრივ გულისხმობს ვაზის გარკვეული ნაწილების მოშორებას, მოჭრას. ეს მევენახეს ეხმარება აკონტროლოს მისი ფორმა და ზომა. ვაზი ჰელიოფილი ანუ მზის მოყვარული მცენარეა, ბუნებრივ გარემოში მყოფი ველური ვაზი (*Vitis vinifera sylvestris*) კი სულ ზევით ანუ მზისკენ მიიწევს. სწორედ ამიტომ, მევენახეს უწევს ვაზის ზრდის კონტროლი.

გარდა ამისა, სხვლის შედეგად დატოვებული კვირტები, გაძლიერებულ საშუალებას განვსაზღვროთ მომავალი წლის მოსავალი, ვინაიდან მოსავლიანი ყლორტების რაოდენობა, სწორედ რომ სხვლის დროს დატოვებულ კვირტების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ კი, დატოვებული კვირტების რაოდენობის ცვლილება წლიდან-წლამდე ხდება, ვინაიდან ვიპოვოთ ის ბალანსი, რომელიც ვაზის რეპროდუქციულ და ხარისხობრივ პოტენციალს გაათანაბრებს.

სხვლის დროს აუცილებელია ვაზის ჯიშის ბიოლოგიური თავისებურების გათვალისწინება, რაც გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთ ჯიშს რქის ბაზალური კვირტები არ უვითარდება ან უნაყოფოა, ამიტომ მათთვის 2-3 კვირტის დატოვება (მოკლე სხვლა) ვაზს უნაყოფოდ დატოვებს, შესაბამისად, მათზე გრძელ სხვლას ვიყენებთ. ზოგიერთი ჯიში კი ბაზალური კვირტების ფერტილობით ანუ ნაყოფიერებით გამოირჩევა, ამიტომ მათთვის მოკლე სხვლაც სავსებით მისაღებია.

ვაზის მოკლე სხვლას ნეკით სხვლასაც უწოდებენ - კორდონი, ხოლო გრძელ სხვლას კი რქით სხვლას - გუიო.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ვაზის სხვლის დროს:

ვაზის სხვლა უმჯობესია მშრალ ამინდში შესრულდეს, ვინაიდან სოკოს სპორების გადატანა ამ დროს შემცირებულია. ტენიანი, სველი ამინდის პირობებში, ვაზის სხვადასხვა ნაწილებიდან, ახალ ჭრილობებზე სოკოს სპორების გადატანა გამარტივებულია, რაც მცენარეთა დაინფიცირების რისკს ზრდის.

სხვლის იარაღები სეკატორი და ხელის ხერხი ხშირად უნდა გავასტერილოთ. სადებიინფექციოდ სპირტიც საკმარისია, რაც შეამცირებს ერთი ვაზიდან მეორეზე სხვადასხვა დაავადების გადატანას.

სხვლის დროს მცენარეზე მიყენებული ჭრილობა, დელიკატურად უნდა შესრულდეს. სეკატორი უნდა იყოს ბასრი, რათა ჭრილობას განმეორება არ დასჭირდეს. გარდა ამისა, ჭრილობა არ უნდა იყოს დახრილი კვირტისკენ, რათა წვეთა დინების დაწყების დროს კვირტისკენ წვეთების სვლა ავირიდოთ.

ვაზის რქაზე ჭრილობა კვირტთან ახლოს არ უნდა შესრულდეს. ჭრილობა ვინაიდან ღია რჩება, ის ნელ-ნელა ხმება. კვირტთან ახლოს მყოფი გადანაჭერი კი შრობის დროს, კვირტსაც დააზიანებს.

ჭრილობების მიყენება ვაზის ზრდასრულ ნაწილებზე (3 და მეტი წლის ნაწილები, ვარჯი) იწვევს ჩახმობის კონების გაჩენას, რაც თავის მხრივ აზიანებს ქსილემას და ფლოემას. ქსილემა და ფლოემა არის მცენარის ვასკულური, გამტარი კონები. ჩახმობის შედეგად ქსილემა და ფლოემა ფუნქციას კარგავს, ვეღარ ახდენს საკვები ნივთიერებებისა და წყლის ოპტიმალურ გადატანას, რის შედეგად მცენარის განვითარება და მოსავლიანობა ფერხდება.

დიდი გარშემოწერილობის ჭრილობის მიყენების შემთხვევაში ან მრავალწლოვანი ნაწილის დაზიანებისას, ჭრილობა შესაბამისი მალამოთი უნდა დაიხუროს. ამით მისი ჩახმობა

და პათოგენების შეღწევა შემცირდება.

სხვლის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ვაზის დატვირთვა. არ შეიძლება, რომ ძლიერმოსავლიანი ვაზი მცირე რაოდენობის კვირტით დაიტვირთოს, და პირიქით სუსტი ვაზი ზედმეტად დატვირთოთ. შესაბამისად, ჩანაწერების, რავაზის ინდექსის თუ სხვა დეტალების გათვალისწინებით, უნდა ვეცადოთ ვაზის ბალანსირებულ სხვლას.

სხვლის დროს ვაზის ერთი მცენარიდან მეორეზე გადადის სხვადასხვა წარმოშობის ვირუსული, ბაქტერიული, ფიტოპლაზმური თუ სოკოვანი დაავადება.

მსოფლიოს მევენახეობის ძირითად რეგიონებში აქტიურადაა ესკას დაავადება გავრცელებული. იგი სამი სოკოს, *Phaeomoniella chlamydospora*, *Phaeoacremonium aleophilum* and *Fomitiporia mediterranea* ერთობლივი შეტევის შედეგად ჩნდება ვაზში და მას შიგნიდან თუ გარედან აზიანებს. სიმპტომები მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადად ფოთლებზე გვხვდება „ვეფხვის ზოლების“ სახით, ასევე მარცვალზე, შავი წერტილებით, თითქოს მუქი ჭორფლიაო. საბოლოოდ, ესკას ორივე ფორმა, ქრონიკული თუ უეცარი სიკვდილი (აპოპლეჯია), იწვევს ვაზის დამბლას, რის შედეგადაც მცენარე ხმება. ესკა ცხელ თვეებში საკმაოდ აქტიურია და მისი ამოცნობაც მარტივია. მას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს, ერთ წელს ვაზი უმოსავლოა, თითქოს გახმა, მეორე წელს კი შეიძლება კვლავ გამოხატოს სიცოცხლის ნიშნები. ამის გამო მევენახეები გადაავადებენ ხოლმე მის ამოძირკვას, რის შედეგადაც დაინფიცირებული მცენარიდან სხვადასხვა გზით (სეკატორი, მწერი-ვექტორი) დაავადება მეზობელ ვაზებზეც ვრცელდება.

ესკას სიმპტომები ზოგჯერ ვაზის განვითარების მე-7, მე-10 წელს ხდება ხილული, მანამდე კი ის ლატენტურად მიმდინარეობს ან ძლიერ სიმპტომატიკას არ გამოხატავს. საბოლოოდ კი, ყოველ წელს ვაზში უფრო მეტ და რთულ პრობლემას იწვევს, რის შედეგადაც დაავადების კომპლექსად გარდაიქმნება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ესკა უკურნებელი დაავადებაა და მასთან საბრძოლველად მხოლოდ ვაზის ამოძირკვა გამოიყენება. ესკას გარდა, ვარჯის დამზიანებლების ჯგუფს მრავალი დაავადება თუ პათოგენი მიეკუთვნება, როგორცაა ეუტიპა, ბლექ გუ და სხვა. მათი პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა კი ვაზის სხვლის დროს სასხლავი იარაღების დებიინფექციაა. ამ მარტივი, ოდნავ შრომატევადი მოქმედებით, შევძლებთ, რომ ჩვენი ვენახი დიდხანს და ჯანმრთელად იყოს ჩვენს გვერდით, დაავადებების გარეშე.





5 ეროვნული პარკი ზამთრის სეზონის აღმოსაჩენად

არ აქვს მნიშვნელობა, რომელ სეზონზე გადაწყვეტთ საქართველოს ეროვნულ პარკებში სტუმრობას, რადგან თითოეული მათგანი განსაკუთრებული და საოცარია. ჩვენი გაზეთის მიმდინარე ნომერში წარმოგიდგინთ 5 დაცულ ტერიტორიას, რომელთა მონახულებაც ზამთრის სეზონზე განსაკუთრებით შთამბეჭდავია



ყაზბეგის ეროვნული პარკი

ალპური მდელოები, მორენები, თოვლით დაფარული მწვერვალები და ხელუხლებელი კლდეები - ყაზბეგის ეროვნულ პარკში გელით. ეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიაა, რომელიც ზამთრის სეზონზე განსაკუთრებით ლამაზია. ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას აუცილებლად უნდა ესტუმროთ თრუსოს, დარიალის და ხდის ხეობებს, სადაც


ულამაზესი ბუნების გარდა, ადგილობრივ კულტურას და ტრადიციებსაც შეიცნობთ. ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურთან სიახლოვე, რაც ულამაზესი ბუნებით ტკბობის პარალელურად, ზამთრის სპორტით სიამოვნების შესაძლებლობას იძლევა.



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ყველაზე პოპულარული ადგილია ვიზიტორებისთვის, სადაც შესაძლებელია როგორც ერთდღიანი ან მრავალდღიანი ლაშქრობების მოწყობა, ასევე ცხენოსნობა, თოვლის ფეხსაცმლით სეირნობა, კულტურული და საგანმანათლებლო ტურების განხორციელება. ეროვნული პარკი

აღჭურვილია ტურისტული თავშესაფრებით, კემპინგის ადგილებით, პიკნიკის ზონებითა და ცეცხლის დასანთები პუნქტებით. ზამთარში თოვლის ფეხსაცმლით სეირნობა ყველაზე შთამბეჭდავი და სახალისო აქტივობაა. აღნიშნული სერვისით სარგებლობა მხოლოდ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკშია შესაძლებელი.



თბილისის ეროვნული პარკი

თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს თბილისიდან 20 კმ-ში. ზამთარში, პარკი ჯადოსნურ სამყაროს ემსგავსება, რასაც თოვლით დაფარული საბადურის ტყის ულამაზესი პეიზაჟები განაპირობებს. ეროვნული

პარკი მრავალფეროვანი ლანდშაფტითა და ულამაზესი ხედებით არის გამორჩეული, რაც განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე, მრავალ პროფესიონალ თუ მოყვარულ ფოტოგრაფს იზიდავს.



პრომეთის მღვიმე

პრომეთის მღვიმე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია და ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ სავიზიტო ბარათად მიიჩნევა. აქ დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს ჯადოსნურ მიწისქვეშა სამყაროში იმოგზაუროს, რომელიც სავსეა სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით. თქვენ დაგხვდებათ ექვსი სხვადასხვა, უნიკალური დარბაზი: არგონავტები,

კოლხეთი, მედეა, სიყვარული და საქართველო (იბერია). პრომეთის მღვიმეში მოგზაურობისას ამინდს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მღვიმეში ტემპერატურა, მთელი წლის განმავლობაში, მუდმივად 14 გრადუსია. შესაბამისად, აქ მოგზაურობა ნებისმიერ სეზონზე, მათ შორის ზამთრის ცივ დღეებშიც სასიამოვნოა.



ნავენახევის მღვიმე

ნავენახევის მღვიმე, რომელიც მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, განსხვავებული ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული, 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა. ნავენახევის მღვიმე საქართველოში პირველი ეკოტურისტული მღვიმეა,

რომელსაც ერთი შესასვლელ-გამოსასვლელი გააჩნია. სხვა დანარჩენი მღვიმეებისგან ის ნაღვენი ფორმების სიუხვითაც გამოირჩევა. შესაბამისად, იმოგზაურეთ და აღმოაჩინეთ ბუნების მიერ შექმნილი კიდევ ერთი საოცრება საქართველოში!





გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმო მუშაობა

ქართულ-პოლონური ინვესტიციით შექმნილი საწარმო მუშაობს, რომელიც ლურჯი მოცვის ნერგებს აწარმოებს, სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში, ქართულ-პოლონურმა კომპანიამ „აგრომაქს დეკორი“ ლურჯი მოცვის საწარმო მუშაობის მოსაწყობად, 500,000 ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის, 350,000 ლარზე მეტი სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება.

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არა ეს მხარდაჭერა ვერ შევძლებდით იმ დიდი მოცულობების შექმნას. განსაკუთრებული ტექნიკის დახმარებით, რომელიც სახელმწიფოს დაფინანსებით შევიძინეთ, 4-ჯერ მეტი ნერგის წარმოება შევძელით“,- აღნიშნავს კომპანიის „აგრომაქს დეკორი“ მენეჯერი ივანე კოპაძე.

საწარმო მუშაობაში, სადაც ლურჯი მოცვის 4 ჯიში იწარმოება, 40 ადგილობრივია დასაქმებული.

კოოპერაციული საწარმო სოფელ აკურაში



თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში მდებარე ყურძნის გადამამუშავებელი კოოპერაციული საწარმო ადგილობრივ მევენახეებს აერთიანებს.

„როდესაც მევენახეობის კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ გავიგეთ, 20 ადგილობრივი შევიკრიბეთ, პროგრამაში ჩართულობით მოგვეცა შესაძლებლობა ჩვენზე ყურძენი გადაგვემუშავებინა. შეგვიძლია სარგებელი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მივიღოთ. ჩვენთვის ეს პროექტი პერსპექტივაა ჩვენი ღვინო

გახდეს კონკურენტული და მოგება ნახოს თითოეულმა მეპაიემ“- აცხადებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „შატო აკურა“ დირექტორი გიორგი ქევიციანი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „შატო აკურა“ ათზე მეტი დასახელების ღვინოს, მათ შორის ნახევრადტკბილ, მშრალ და ნახევრადმშრალ წითელ, ასევე თეთრ ღვინოებს აწარმოებს. კოოპერატივი კახური წესით დამზადებულ და მუხაში დავარგებულ ჭაჭას ამზადებს. პროდუქციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ადგილობრივ ბაზარზე ყიდის.



დაფნის გადამამუშავებელი საწარმო სენაკის მუნიციპალიტეტში

„შპს „ლაურუსის“ დაფნის გადამამუშავებელი საწარმო წელიწადში 300 ტონამდე მშრალ დაფნას აწარმოებს. ჩვენი პლანტაციის გარდა, დაფნას სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონის ფერმერებისგან ვყიდულობთ. სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით გვერდში გვიდგას და მხარს გვიჭერს“,- აღნიშნავს შპს „ლაურუსის“ დირექტორი ვანო ჯალაღონია.

შპს „ლაურუსის“ დაფნის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტში 2016 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, სეზონურად 130 ადგილობრივს ასაქმებს.

ვანო ჯალაღონიას თქმით, სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელია მიზანმიმართული შრომა და პროფესიული განვითარება.



სამელორასიო სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

ქალაქ წნორის ტერიტორიაზე, ბოდბისხევის კოლექტორის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. დანალექი გრუნტისა და ხე-

მცენარეებისგან 1000 მეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტში 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე საირიგაციო მომსახურებასთან ერთად, 160 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

საქართველოს მელიორაციამ სამუშაოები საკუთარი ძალებით ნოემბერში დაიწყო და დეკემბრის ბოლოს დასრულდება.



თიქორი-ენგურის დამშრომელი მასივის განმანდითი სამუშაოები



შპს „საქართველოს მელიორაცია“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები თიქორი-ენგურის დამშრომელი მასივზე მიმდინარეობს. სოფელ დიდ ნემში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან, ჯამში, 2,6 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის. შედეგად, 70 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც უხვი და ხარისხიანი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს. სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია საკუთარი ძალებით ახორციელებს.



გაიცანი მეცნიერი

მაია მეტრეველი

რისკის შეფასების სამსახურის უფროსი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის
დოქტორი მაია მეტრეველი
ხელმძღვანელობს
სამსახურს, რომლის ამოცანა
მოსახლეობისთვის უვნებელი
სურსათის მიწოდების,
აგროსასურსათო ცხოველთა და
მცენარეთა სიჯანსაღის დაცვის
რისკების შეფასებაა.

მაია მეტრეველი:

„მხოლოდ პრევენციული მიდგომა და მეცნიერებაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის კონტროლი უზრუნველყოფს მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და ეკონომიკური



ინტერესების სათანადო დაცვას“.

2015 წლიდან ქალბატონი მაია არის ევროპის სურსათის უვნებლობის უზენაესი ორგანოს (EFSA) საკონტაქტო პირი საქართველოში და აქტიურად თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის რისკის შეფასების ინსტიტუტებთან. მაია მეტრეველის არის ავტორი გამოქვეყნებული მაღალრეიტინგული, საერთაშორისო

მნიშვნელობის შრომების და ასევე, American Journal of Biomedical and Life Sciences მიმომხილველი მეცნიერი.

„საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან კავშირები გვებმარება, ვიყოთ ინფორმირებული და დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა და ეკონომიკა აღმოცენებადი საფრთხეებისგან, რომელიც გამოწვევაა დღევანდელ მუდმივად ცვალებად გარემოში“.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მიენიჭა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შემფასებელი ორგანოს“ სტატუსი. ამ ფუნქციით ცენტრმა განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები როგორებიცაა: სურსათში

არსებული ქიმიური საფრთხეების (აფლატოქსინ M1, მალაქიისა და ლეუკომალაქიტის მწვანის, აკრილამიდის, ტყვიის და ა.შ.), ასევე, მიკრობიოლოგიური (სალმონელა, ლისტერია, კამპილობაქტერია და სხვა) რისკის შეფასებები. გარდა ამისა, შეფასდა ვეტერინარული (ლურჯი ენა, ცხვრის კარატული ცხელება, ცოფი) და მცენარეთა მავნებლების (ფრთალაქიანი დროზოფილას - *Drosophila suzukii*, ლაქებიანი ჭიჭინობელას - *Lycorma delicatula* და სხვა) შემოჭრისა და გავრცელების რისკები. აღნიშნულ პროექტებს ცენტრი ახორციელებდა უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული ექპერტების ჩართულობით, რომლებსაც ორგანიზებას და მონიტორინგს უწევდა რისკის შეფასების სამსახური მაია მეტრეველის ხელმძღვანელობით.



**გარემოს ეროვნული
სააგენტოს გეოლოგიის
დეპარტამენტის ახალგაზრდა
გეოლოგები - მონიკა მჟავია,
გოდარძი ბასიშვილი**

2019 წელს შეიქმნა გარემოს ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული გეოლოგიური განყოფილების ჯგუფი, სადაც მონიკა მჟავიამ და გოდარძი ბასიშვილმა ერთად დაიწყეს მუშაობა, შემდეგ კი, ოჯახიც შექმნეს.

რაც შეეხება ერთად მუშაობის პროცესს, საკმაოდ რთულია, რადგან ექსტრემალურ პირობების დროს ვნერვიულობთ ერთმანეთზე და ვცდილობთ, მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ ერთმანეთს საქმე“, - აღნიშნავს მონიკა.

**დარგის განვითარების ისტორია
საქართველოში**

საქართველოში გეოლოგიის დარგს დიდი ხნის ისტორია აქვს. კვალიფიციური გეოლოგიური კვლევების დაწყებიდან უკვე 180 წელზე მეტია გასული.

უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგიის დარგი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალფუნქციურია, მოიცავს 25-მდე ძირითად მიმართულებას, მათ შორის: პალეონტოლოგიას, პეტროგრაფიას, მინერალოგიას, ჰიდროგეოლოგიას, საინჟინრო-გეოლოგიას, დინამიკურ გეოლოგიას, ნავთობისა და გაზის გეოლოგიას და თავის მხრივ, გააჩნია 60-მდე ქვე-მიმართულება, რომლებიც დაკავშირებულია ახალი მყარი და თხევადი სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენებთან და სხვასთან.



„კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების აქტუალობიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით კვლევები პრიორიტეტული გახდა ქვეყნისთვის. გარემოს ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით აწარმოებს სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დონის მონიტორინგულ კვლევებს, რომლის საფუძველზე მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მზადდება გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკა და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიში, რაშიც მთელი გუნდი ვართ ჩართული“.

თანამედროვე გეოლოგია და გამოწვევები ცნობილია, რომ საქართველო ბუნებრივი საფრთხეების და მათ შორის გეოლოგიური საფრთხეების ჩასახვა-გააქტიურების თვალსაზრისით ურთულესი რეგიონია მსოფლიოში, რასაც ემატება კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული ახალი მაპროვოცირებელი ფაქტორები, ამიტომ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე.

„მიუხედავად იმისა, რომ გვიწევს დიდი ხნით სავალე ექსპედიციებში ყოფნა, რაც დაკავშირებულია რთულ და სახიფათო გარემო პირობებთან, თავიდან რომ ვირჩევდეთ პროფესიას, ისევ გეოლოგიას ავირჩევდით, რადგან გეოლოგის პროფესია ჩვენთვის საყვარელი საქმიანობაა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. კლიმატის გლობალური ცვლილებები უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე, რომელიც იწვევს სტიქიური გეოლოგიური პროცესების ჩასახვა/გააქტიურებას. შესაბამისად, დღევანდელ დღეს გეოლოგის პროფესია ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო და მოთხოვნილია, ამიტომ ვურჩევთ ახალგაზრდებს უფრო მეტად დაინტერესდნენ აღნიშნული დარგით, ჩვენც ჩვენი მხრიდან შევეცდებით ცოდნა და გამოცდილება გავუზიაროთ ჩვენს შემდგომ თაობას“, - აღნიშნეს გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალგაზრდა გეოლოგებმა.

მათი ოჯახური და პროფესიული თანაცხოვრება ძალიან საინტერესოა. აქვთ საერთო ინტერესები, მიზნები და ამოცანები. სამსახური ფაქტობრივად მათი მეორე ოჯახია.

„გეოლოგიის პროფესია საკმაოდ რთულ გარემო პირობებთან არის დაკავშირებული. მათ შორის აღსანიშნავია მაღალრისკიანი სამუშაო გარემო, განსაკუთრებით რთული მეტეოროლოგიური პირობების დროს სავალე გასვლები. თუმცა საყვარელი საქმიანობისას ამას ვერ იაზრებ“, - ამბობს გეოლოგი გოდარძი ბასიშვილი.

„ჩემი პროფესია ჩემთვის საყვარელი საქმიანობაა, რომელიც საშუალებას მაძლევს უკეთესად გავიცნო საქართველოს გარემო-პირობები.





გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

თანამშრომლებმა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, 2024 წლის 01 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობის 351 სამართალდარღვევა გამოავლინეს.

ყველაზე მეტი - 183 დარღვევა დაფიქსირდა თბილისში, 57 - რუსთავში, 56 - ბათუმში, 55 კი, ქუთაისში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაჯარიმებული 351 სამართალდარღვევიდან 310 ფიზიკური პირია, ხოლო 41 - იურიდიული პირი.

216 საჯარიმო ქვითარი მსუბუქი



ავტომობილების მძღოლების მიმართ არის შედგენილი, 121 - მიკროავტობუსის, 14 - სატვირთო ავტომობილის მძღოლების სახელზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, საქართველოს 4 დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლს 2023 წლის 4 სექტემბრიდან ახორციელებენ.

კანონის ამოქმედებიდან 2024 წლის ნოემბრის ჩათვლით, დეპარტამენტის მოძრავი ეკიპაჟების მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ჯამში 8216 ფიზიკური და იურიდიული პირი დაჯარიმდა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა პირველ ჯერზე 100 ლარია, მეორე ჯერზე - 300 ლარი, მესამე ჯერზე - 600 ლარი. იურიდიული პირის შემთხვევაში კი, ჯარიმა 500, 1500 და 3000 ლარია. ჯარიმის 10 დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს ჯარიმის ოდენობა 20%-ით შეუმცირდება.

ჯარიმების გადამოწმება მოქალაქეებს შეუძლიათ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.des.gov.ge; ჯარიმის გადახდა შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის www.videos.police.ge საშუალებით.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის

გაუმჯობესების მიმართულება დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია. საწარმოებიდან დაბინძურების პრევენციის მიზნით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემა დაინერგა საწარმოებში. პარალელურად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არაკონდიციური საწვავის მოხმარება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას. ამასთანავე, 4 მსხვილ ქალაქში გზებზე მოძრავი ავტომობილების ხილული გამონაბოლქვის კონტროლიც მიმდინარეობს. კომპლექსურად, ყველა ეს მიმართულება ხელს უწყობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანას.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, 2024 წლის 01 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, უკანონო ტყითსარგებლობის 187 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 135 ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებას ეხება, 52 კი, სახერხი საამქროების მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევისა და უკანონო სახერხი საამქროების ფაქტებია. სამართალდარღვევებიდან 13 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

გამოვლენილი ფაქტები:

- უკანონო ტყითსარგებლობის ყველაზე მეტი - 53 ფაქტი გამოვლენილია კახეთში.
- სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა 34 სამართალდარღვევა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში - 31;
- იმერეთში - 24;
- აჭარაში - 15;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში - 10;
- ქვემო ქართლში - 8;
- შიდა ქართლში - 5;
- გურიაში - 4;
- მცხეთა-მთიანეთში კი - 3.

ჯამში ამოღებულია 284 კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე.

ამავე პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, დალუქულია 2 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა. უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია.

მიმდინარე წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით, უკანონო ტყითსარგებლობის 2000 ფაქტი გამოავლინეს. დალუქულია 92 უკანონო სახერხი საამქრო.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეკიპაჟები ქვეყნის მასშტაბით 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, რათა დროულად მოხდეს უკანონო ტყითსარგებლობის, ნადირობის, თევზჭერისა და სხვა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე.





წინასაახალწლოდ წინვოვანი ხე-მცენარის უკანონო მოპოვებაზე კონტროლი მკაცრდება



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, წინასაახალწლო პერიოდში, წიწვოვანი ხე-მცენარეების უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტების გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიზნით კონტროლს განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში ახორციელებენ, სადაც წიწვოვანი ტყეებია. ასევე, პრევენციული ღონისძიებები ტარდება ქალაქის შემოსასვლელთან, დასახლებულ პუნქტებში, საავტომობილო გზებზე. დედაქალაქში აქტიურად მოწმდება რეალიზაციის ადგილები - მაგალითად, სპორტის სასახლის, ვაგბლის, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიები. დეპარტამენტის თანამშრომლები, შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად აღგენენ რამდენად კანონიერად ახდენენ მოქალაქეები წიწვოვნების რეალიზებას და კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას ახდენენ.

ბუნებრივი ნაძვის მოპოვების კანონიერი გზა

წიწვოვანი ხე-მცენარის მოჭრა-დაზიანება საქართველოში კანონით ისჯება. როგორც წესი, ამ სახეობის ხე-მცენარეების უკანონოდ

მოპოვებისას, მოქალაქეები ჭრიან მცენარის ვარჯის წვერს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მცენარის სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა. ასევე ხდება მოზარდ-ალმონაცენის მოჭრა-განადგურება. სწორედ ამიტომ ყოველწლიურად, წინასაახალწლოდ, დეპარტამენტი წიწვოვანი ხე-მცენარეების უკანონო მოპოვება-რეალიზაციის ფაქტების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით კონტროლს ამკაცრებს და მოქალაქეებს მოუწოდებს, წიწვოვანი ხე-მცენარეები მხოლოდ კანონიერად მოიპოვონ.

წიწვოვანი ხე-მცენარის კანონიერად მოპოვება დასაშვებია მხოლოდ სანერგეებში, პლანტაციებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში ან შესაძლებელია მისი იმპორტირება. თუ წიწვოვანი ხე-მცენარე მოპოვებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან ხელოვნურად გაშენებულ სანერგეში, კანონიერად მოპოვებული ხე-მცენარეების ტრანსპორტირება-რეალიზებისთვის სავალდებულოა თან იქონიოს მათი კანონიერად ფლობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი. თუ წიწვოვანი მცენარე მოპოვებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან ხელოვნურად გაშენებულ სანერგეში, მცენარეების ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ცნობის ნამდვილობას გადამოწმებისას აღგენენ. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში გადამოწმება შესაბამის რეგიონში ხდება.

იმ შემთხვევაში კი, თუ ხე-მცენარეები იმპორტირებულია, რეალიზატორმა იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი უნდა წარადგინოს.

რა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოგიწევთ წინვოვანი ხე-მცენარის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებაზე

წიწვოვანი ხე-მცენარეების მოპოვებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს. საჯარიმო სანქციები წიწვოვნების უკანონო მოპოვებაზე, ასევე ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის წესის დარღვევაზე, გათვალისწინებულია აღნიშნული კოდექსის 64-ე, 64(1)-ე 66-ე, 128(2)-ე, 151-ე, 151(1)-ე, მუხლებით. წიწვოვნების უკანონოდ მოპოვებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციის წესის დარღვევაზე მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რომლებიც მერყეობს 500-დან 5000 ლარამდე. რიგ შემთხვევაში კი, სამართალდამრღვევს ჯარიმის სახით 10 000 ლარის გადახდაც მოუწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარიმო თანხას ემატება ხე-მცენარის უკანონოდ მოპოვებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობაც. იმ შემთხვევაში, თუ გარემოსათვის

მიყენებული ზიანის ოდენობა აღემატება 1000 ლარს, პირის მიმართ დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მინიმალური, 500-ლარიანი ჯარიმა მოქმედებს სახელმწიფო ტყის მიწაზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა ან დაზიანების, ტყის სანერგესა და პლანტაციაში ნათესების ან ნერგების მოსპობა ან დაზიანების შემთხვევაში, რამაც შეიძლება მათი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს. თუმცა, წლების განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევების ანალიზი აჩვენებს, რომ ასეთი შემთხვევები გაცილებით იშვიათია და წინასაახალწლო პერიოდში, უმეტესად ისეთ სამართალდარღვევებს აქვს ადგილი, რომელთა ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმა გაცილებით დიდია. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, უკანონო ტყისთარგებლობაზე სანქციები საგრძნობლად გამკაცრდა.

მოქმედი კანონმდებლობით, თუ ხე-მცენარე მოპოვებული ან დაზიანებულია დაცული ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, ჯარიმის ოდენობა 2 500 ლარია. იგივე ქმედების სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ ჩადენის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს 6 000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ყველა შემთხვევაში, სამართალდამრღვევს ჩამოერთმევა სამართალდარღვევის იარაღი და სამართალდარღვევის ობიექტი.

სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ. აღნიშნული

სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს 5 000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს და მას იარაღი, ასევე მოპოვებული ხე-ტყეც ჩამოერთმევა.

ხე-ტყის სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირებაზე, ასევე რეალიზებაზე ჯარიმა 2000 ლარია. სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში კი, სამართალდამრღვევს ჯარიმის სახით 5000 ლარის გადახდა მოუწევს.

2000-ლარიანი ჯარიმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისა) მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა-განადგურებაზეც. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, სამართალდამრღვევს 5000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. აღნიშნული მუხლი სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციასაც ითვალისწინებს.

მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, 5 000 ლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს. მსგავსი ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, ჯარიმა ორმაგდება და სამართალდამრღვევს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს. ორივე შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი, ჯარიმასთან ერთად სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციასაც ითვალისწინებს (ან მის გარეშე).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას საახალწლოდ, წიწვოვანი ხე-მცენარეები მოიპოვონ მხოლოდ კანონიერი გზით, კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს - 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.



ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები

უძველესი დროიდან პირველყოფილი ადამიანი საკვებად იყენებდა ველურ მცენარეებს (ფოთლებს, თესლებს, წვნიან ღეროებს, ტკბილ ფესვებს). მომთაბარე ცხოვრების დროს, ისინი იკვებებოდნენ იმ მცენარეებით, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდა (თათაბო, ჯიფლაყა, მდოგვი, ჭინჭარი და სხვ.), დროთა განმავლობაში დაიწყეს მოძიება და შეგროვება ისეთი მცენარეების, რომელთა გემური თვისებები მათთვის მისაღები იყო.

სარეველა მცენარეები შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს (E, C, P, PP, Fe, Ca, K, Mg, B1, B2, B6 და სხვ.), ისინი საკვებად ვარგისია მათი შეგროვებიდან 2-3 საათის განმავლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში იმავე დღეს. გამოიყენება ბოსტნეულთან, თევზეულთან, ხორციან კერძებში, ამზადებენ სუპებს, ფხალეულს და სხვ.

წარმოგიდგინთ იმ სარეველა მცენარეების ჩამონათვალს, რომელიც ადამიანის საკვებად დღესაც გამოიყენება და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

ნასარკათაშა, CHENOPODIUM ALBUM L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, საგაზაფხულო სარეველაა. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მომწვანო - მონაცრისფრო, სიმაღლე - 20-100 სმ; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებურ-რომბისებური, დაკბილული; ყვავილედი - თავთავისმაგვარი, სიგრძე - 10-40 სმ, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა - მომრგვალო, წვრილი, შავი, დიამეტრით 1.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 100 000 თესლი, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელიწადს.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ქუთქუთა - THLASPI ARVENSE L.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ღერო - მარტივი ან დატოტვილი, 10-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ისრისებური, მჯდომარე, ყვავილი - წვრილი თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე; ნაყოფი - ჭოტაკი, მრგვალი ან მომრგვალო ოვალური, სიგრძე - 12-18 მმ, სიგანე 11-16 მმ. თესლი ყავისფერი, დაღარული, სიგრძით 1.75-2.5 მმ, სიგანე 1.25-1.75 მმ, ერთი მცენარე იძლევა 10 000-მდე თესლს.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ქუქუქუი - STALLARIA MEDIA (L.) CYR.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა მისხაკისებრთა ოჯახიდან; ფესვი - ფუნჯა; ღერო - ცილინდრული, დატოტვილი 10 სმ-

მდე; ფოთლები - კვერცხისებური, ბოლოში წაწვეტებული; ყვავილები - პატარა, თეთრი, ყვავილობს - მაის-აგვისტოში; ნაყოფი - მოგრძო კოლოფი; თესლი - მომრგვალო ან თირკმლისებრი, მუქი ყავისფერი ან მონაცრისფრო-ყავისფერი, ზომით 0.75-1.25 მმ, ერთი მცენარე იძლევა 15 000 თესლს, აღმოცენების უნარს 2-5 წლის განმავლობაში.

გამოიყენება კულინარიაში სალათების დასამზადებლად.

ჰიჭლაყა - AMARANTHUS RETROFLEXUS L.



ერთწლიანი საგაზაფხულო სარეველაა. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი ან დატოტვილი, ღია მწვანე ან მოწითალომდე, სიმაღლე - 20-150 სმ; ფოთლები - კვერცხისებურ-რომბისებური; ყვავილედი - ცილინდრული, მწვანე ფერის, ყვავილობს ივნის-სექტემბერში; თესლი - მომრგვალო, მუქი ყავისფერი, პრიალა, დიამეტრით 1 მმ, ერთი მცენარე იძლევა 5 000 თესლს.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის, სუპების დასამზადებლად, თევზეულთან და ხორციან კერძებთან.

წინმათურა - CAPSELLA BURSA-PASTORIS (L.) MEDIC.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი, დატოტვილი, სიმაღლით 20-60 სმ; ფოთოლი - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, მოგრძო - ლანცეტისებრი; ყვავილი წვრილი, თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე, ნაყოფს იძლევა მაისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი - ჭოტაკი, სიგრძე - 5-8 მმ, უკულმა სამკუთხა - გულისებრი; თესლი - მოყავისფრო-მოყვითალო, ოვალური, სიგრძე - 1-2.5 მმ, სიგანე - 0.5-0.7 მმ, ერთი მცენარე იძლევა 70 000 თესლს.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ყანის ია - VIOLA ARVENSIS MURRAY



ერთწლიანი მცენარეა იისებრთა ოჯახიდან; ფესვი - წვრილი; ღერო - დატოტვილი, სწორმდგომი 5-30 სმ; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, მარტივი, მოგრძო ლანცეტისებრი; ყვავილი ერთეული, მოყვითალო - თეთრი, დიამეტრი 6-10 მმ; ნაყოფი - კოლოფი კვერცხისებური, სიგრძე - 6-10 მმ; თესლები - უკუკვერცხისებრი, ზემოთ ოდნავ შეჭყლეტილი, ფუძესთან შევიწროებული, გლუვზედაპირიანი, მოყვითალო - ყავისფერი, სიგრძე - 1.25-1.75 მმ, სიგანე - 0.75-1 მმ.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ჭინჭარი - URTICA DIODICA L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა, 60-200 მმ სიმაღლის; ღერო - სწორმდგომი, შებუსული; ფოთლები - გულისებრი, დაკბილული; ყვავილები - მოყვითალო-მწვანე, წვრილი, ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე; თესლი - კვერცხისებური, წვეროსკენ ოდნავ შევიწროებული, ფუძესთან - ფართო, ჭიპი - მომრგვალო, მკაფიოდ შესამჩნევი, გლუვი, მონაცრისფრო-ყავისფერი, სიგრძე - 1.25-1.75 მმ, სიგანე - 0.75-1 მმ, მწიფდება ივლისში.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის, სუპების დასამზადებლად.

ბოლოკურა - RAPHANUS RAPHANISTRUM L.



ერთწლიანი ბალახოვანი სარეველაა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული, 10-70 სმ სიმაღლის; ფოთლები - ფრთისებრდანაკვეთული; ყვავილი - ყვითელი, ყვავილობს ზაფხულიდან შემოდგომამდე; ნაყოფი - ჭოტაკი, ცილინდრული, 3-8 სმ სიგრძის, თესლი - მრგვალი ან ოვალური, მოწითალო - ყავისფერი, ბადისებური ზედაპირით, სიგრძე - 3 მმ, სიგანე - 2.25 მმ.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

დანდური - PORTULACA OLERACEA L.



ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, სუკულენტური; ღერო - გართხმული, მოწითალო ფერის, 10-40 სმ; ფოთლები - მჯდომარე, მოპირდაპირედ განლაგებული, მოგრძო - უკუკვერცხისებრი, ხორცივანი; ყვავილი - პატარა, ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი - კვერცხისებური ან სფეროსებური კოლოფი, მწიფდება სექტემბერში, თესლი - მუქი ყავისფერი-მოშავო.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულში, სალათებსა და სუპებში.

მეჟუნა - RUMEX ACETOSA L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, მოკლე, დატოტვილი; ღერო - სწორი, 1 მ-მდე; ფოთლები - წვნიანი, ლანცეტისებრი; ყვავილი - წვრილი, ვარდისფერი ან წითელი, ყვავილობს მაის-ივნისში; ნაყოფი - მუქი ყავისფერი კოლოფი, თესლები სამწახნაგოვანი, მოშავო-ყავისფერი, 1.7 მმ.

გამოიყენება კულინარიაში სუპის და ფხალეულის დასამზადებლად.

ჩველებრივი ღოღო - RUMEX CRISPUS L.



ბალახოვანი, ფესურიანი, მრავალწლიანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, გრძელი, ყავისფერი; ღერო - სწორმდგომი, 50-120 სმ სიმაღლის, შეუბუსავი, მოწითალო ფერის; ფოთლები - მოპირდაპირედ განლაგებული, ლანცეტისებრი, 15-20 სმ სიგრძის, ქვედა ფოთლები - გულისებრი; ყვავილები - პატარა, მოწითალო



ან მომწვანო, ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფი - სამწახნაგიანი კაკლუჭა, მოწითალო - ყავისფერი, მბზინავი, სიგრძე - 2-3 მმ, სიგანე - 1.5-2 მმ.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ორკვანდი - ARCTIUM LAPPAL.



ორწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარდერძა, ხორცოვანი, 60 სმ-მდე; ღერო - სწორმდგომი, 60-180 სმ სიმაღლის; ფოთლები - დიდი, გულისებრი, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი; ყვავილედი - კალათა, ყვავილები - მილისებური, იასამინისფერი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში; თესლურა - მოგრძო, დადარული, შიშველი, მოკლე ქოჩრით, ჭიბი მრგვალი, ყავისფერი, სიგრძე 4-6 მმ, სიგანე 2-2.5 მმ.

კულინარიაში გამოიყენება ფესვები და ღერო, ხშირად კარტოფილთან ერთად ამზადებენ.

ნითელი სამყურა - TRIFOLIUM PRETENSE L.



მრავალწლიანი ბალახოვანი სარეველაა პარკოსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარდერძა, დატოტვილი; ღერო - სწორი, 20-60 სმ სიმაღლის; ფოთოლი - რთული, ელიფსური; ყვავილი - წითელი, ვარდისფერი, 1.3-1.6 მმ სიგრძის, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი - პარკი, კვერცხისებური, თესლი გულისებრი - ოვალური, ყავისფერი, ნაყოფმსხმოიარობა ივლისი-აგვისტო.

ფოთლები გამოიყენება სალათებში, სენდვიჩებში, საკონდიტრო მრეწველობაში.

ლანკილი - ALLIUM URSINUM L.



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა; ბოლქვი - მოგრძო, სისქით 1 სმ; ღერო - სამწახნაგიანი, 15-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ლანცეტისებრი ან მოგრძო, სიგანე 3-5 მმ; ყვავილედი - ქოლგა, სფეროსებური, თეთრი, ყვავილობს მაის-ივნისში; ნაყოფი - კოლოფი, თესლი - შავი ფერის, სფერული.

გამოიყენება სალათების, სუპების და მწნილების დასამზადებლად.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტებში 1000-მდე სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა



სურსათის ეროვნული სააგენტო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების მთელი საქართველოს მასშტაბით ამოწმებს.

მიმდინარე წლის განმავლობაში, წინასწარი მონაცემებით, განხორციელდა 1000-მდე სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის, 443 გეგმური ინსპექტირება, 63 გადამოწმება, 240 დოკუმენტური შემოწმება; 240-ზე მეტ საცალო და საბითუმო სარეალიზაციო ობიექტში აღებულია პესტიციდის 450 და აგროქიმიკატის 50 ნიმუში.

სახელმწიფო კონტროლის შედეგად გამოვლინდა 121 სამართალდარღვევა, მათ შორის, აკრძალული პრაპარატის იმპორტი, ვადაგასული და უხარისხო პესტიციდის რეალიზაციის ფაქტები, მარკირებისა და შეფუთვის წესის დარღვევა, ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციის არქონა



გამოვლინდა დარღვევებზე გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ, უხარისხო და ვადაგასული პრეპარატები დაილუქა და შესაბამისი წესის დაცვით განადგურდა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოს წლის განმავლობაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ყველა რეგისტრირებული სავაჭრო ობიექტის შემოწმება აქვს დაგეგმილი, თუმცა, დღეის მონაცემებით, 649 აღიარებული ობიექტიდან 90 არ ფუნქციონირებს.

შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების წარმოების, დავასობის, მარკირების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის პირობებს.

სურსათის 4 ნიმუში აკრძალული საღებავები აღმოჩნდა



სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფებმა, სურსათში აკრძალული სუდანის ჯგუფის საღებავის გამოვლენის მიზნით, ნოემბერში 57 სხვადასხვა კატეგორიის სურსათის ნიმუში აიღეს. ნიმუშები ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნულ ბიუროში გადაიგზავნა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აკრძალული აზო-საღებავები აღმოჩნდა სურსათის 4 ნიმუშში:

- **აჯიკა** (დამზადების თარიღი: 01.10.2024 წელი; ვარგისიანობის ვადა: 01.03.2025 წელი; დახლზე მოვაჭრე ი/მ ლიანა ქობალია; მისამართი: ქ. თბილისი, აგრარული ბაზარი, წინამძღვრიშვილის ქ N135) - აღმოჩნდა საღებავი Para Red;
- **აჯიკა** (დამზადების თარიღი: 11.11.2024 წელი; ვარგისიანობის ვადა - 6 თვე; დახლზე მოვაჭრე ფიბიკური პირი ქეთევან კილასონია; მისამართი: ქ. ხენაკი, აგრარული ბაზარი, რუსთაველის ქ. N180) - აღმოჩნდა საღებავი Para Red;
- **დაღერდილი წითელი წიწკა** (დამზადების თარიღი: 18.10.2024 წელი; ვარგისიანობის ვადა: 04.2026 წელი; დახლზე მოვაჭრე ფიბიკური პირი ხათუნა ფხაკაძე; მისამართი: ქ. ოზურგეთი, აგრარული ბაზარი, გურიის N35) - აღმოჩნდა საღებავი Sudan I და Sudan IV;



- **სველი აჯიკა** (დამზადების თარიღი: 13.11.2024 წელი; ვარგისიანობის ვადა 20 დღე; მოვაჭრე ი/მ მაია გელაშვილი; მისამართი: ქალაქი რუსთავი, მე-16 მ/რ-ნი, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) - აღმოჩნდა საღებავი Sudan I.

აღნიშნული სურსათი დაილუქა. ბაზრიდან მის ამოღება/განადგურებას სურსათის ეროვნული სააგენტო ზედამხედველობს. ამასთანავე, გრძელდება მოკვლევის პროცესი.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, თუ შეძენილი აქვს აღნიშნული სურსათი, არ გამოიყენოს!

სურსათის ეროვნული სააგენტო, მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათში აკრძალული საღებავების ლაბორატორიულ კვლევას, ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს. მიმდინარე წელს აღებულია 113 ნიმუში, აკრძალული საღებავი გამოვლინდა მხოლოდ 4-ში. დარღვევების შემცირება განაპირობა სააგენტოს მიერ განხორციელებულმა რეგულაციებმა. კერძოდ, ბოლო წლებში ჩატარებული კვლევის შედეგებით, დარღვევების ძირითად წყაროს წარმოადგენს

იმპორტირებული წითელი წიწკა. რისკის დონის გათვალისწინებით, 2019 წლის ოქტომბრიდან, წითელი წიწკის იმპორტის განხორციელებასაც გამაკრებელი მოთხოვნები მოქმედებს. წითელი წიწკის (დაფქული, დაღერდილი) თითოეულ პარტიას იმპორტის დროს (გარდა ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, შვეიცარიისა და ისრაელისა) თან უნდა ახლდეს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის გამოცდის ოქმი, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე უარყოფითი შედეგით.

საქართველოს კანონმდებლობით, სურსათში საღებავების - Sudan I; Sudan II; Sudan III; Sudan IV; Sudan orange G; Sudan Red G; Sudan Red 7 B და Sudan red B-ის გამოყენება აკრძალულია.

„სუდანის“ ჯგუფის საღებავები სურსათში ბუნებრივად არ გვხვდება. იგი მიეკუთვნება ხელოვნურ აზო-საღებავების ჯგუფს, არ წარმოადგენს ნებადართულ საკვებდამამატს. აღნიშნული საღებავები სურსათს ემატება ფერის მისაცემად, კერძოდ, იყენებენ წითელი დაფქვილი წიწკის ფერის გასაძლიერებლად.





საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფლორისა და ფაუნის 4 წარმომადგენელს.



ნაულა/ვპროკული ნაულა (MUSTELA LUTREOLA)

საერთაშორისო სტატუსი - CR

(კრიტიკულ საფრთხეში მყოფი)

ეროვნული სტატუსი - CR

(კრიტიკულ საფრთხეში მყოფი)

მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახიდან, გავრცელებულია ევროპაში, დასავლეთ კავკასიაში, ურალის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, მცირე როდენობით გვხვდება აფხაზეთში - ბზიფის ხეობაში.

ისინი ტყით, ბუჩქნარით ან მაღალი ბალახით დაფარული მდინარეების ან გამდინარე წყალსატევების სიახლოვეს ბინადრობენ და ახასიათებთ ბუნაგის გავრცელება ისე, რომ ერთი

გასასვლელი წყალთანაა დაკავშირებული, მეორე კი მიწის ზედაპირთან. სხეულის სიგრძე დაახლოებით 28 - 43 სმ-მდეა, კუდი 12 - 19 სმ და საკმაოდ მოქნილია. იქიდან გამომდინარე, რომ ნახევრად წყლის ცხოველია, მათთვის დამახასიათებელია თითებს შორის არსებული საცურაო აკვები, შეუძლია კარგად ცურვა და ყვინთვა. ძირითადად, საღამოს საათებში და ღამით აქტიურდებიან. სქესმწიფობას 1 წლის ასაკში აღწევენ და საშუალოდ 2-7 ნაშიერს აჩენენ. იკვებება თევზით, მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, პატარა ზომის ფრინველებით, ამფიბიებით, მწერებით და მცენარეული ნაყოფით. ევროპული წაულა მთელს ევროპაში

ფართოდ იყო გავრცელებული. დღეს სახეობა ისტორიული ჰაბიტატის მხოლოდ 20 პროცენტშია გვხვდება. წაულის პოპულაციის შემცირების რამდენიმე მიზეზი არსებობს, სახეობა განსაკუთრებით დაზიანდა ტყავის გამო გადაჭარბებულმა მოპოვებამ, ჰაბიტატებში მტკნარი წყლის დაბინძურებამ და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ. სახეობაზე დამატებით საფრთხედ მოქმედებს ის ფაქტორი, რომ შემორჩენილი პოპულაციები ერთმანეთისგან იზოლირებულია. ევროპის გარკვეულ ქვეყნებში წაულას ex situ კონსერვაციული ღონისძიებები მიმდინარეობს.



ვპრაბიული თახვი (CASTOR FIBER)

საერთაშორისო სტატუსი - LC

(ნაკლებად საგანგაშო)

ეროვნული სტატუსი - RE

(რეგიონში გადაშენებული)

თახვისებრთა ოჯახი დედამიწაზე, დღესდღეობით მხოლოდ ორი სახეობით - ევრაზიული და ჩრდილოეთ ამერიკული თახვითაა წარმოდგენილი. XVI საუკუნისთვის ევრაზიული თახვი ევროპისა და აზიის დიდ ნაწილში ამოწყდა, ვარაუდობენ, რომ მხოლოდ 300 - 400 ინდივიდი იყო დარჩენილი. მათი გაქრობა მრავალმა მიზეზმა გამოიწვია, ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ხორცის - საკვებად, ხოლო ბეწვის სამოსად გამოყენება იყო. მათზე გადაჭარბებულ ნადირობას თან ერთვისა, სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, ჭარბტენიანი ტერიტორიების აქტიური ათვისება. თახვების რიცხოვნობამ, დაცვისა და ნადირობის რეგულაციის ფონზე, 1900-

იანი წლებიდან დაიწყო ზრდა. თახვი, კაპიტარების შემდეგ, მღრღნელებში სიდიდით მეორე ცხოველია. იგი საშუალოდ 20 კგ-ს იწონის, სხეულის სიგრძე 80 - 100 სმ-ია. ახასიათებთ ოჯახებად ცხოვრება, სადაც მოქმედი წევრი და მათი წინა და მიმდინარე წლის ნაშიერები ერთიანდებიან. გამრავლების პერიოდი დეკემბრის ბოლოდან თებერვლამდე გრძელდება და გაზაფხულზე მდებრი 1 - 4 ნაშიერს აჩენს. საქართველოში თახვი მე-20 საუკუნის დასაწყისის ჩათვლით კოლხეთის დაბლობზე, მდინარეების - რიონის, ნატანების, სუფსას, ყვირილას, არაგვის ნაპირებსა და შესართავებში გვხვდებოდა. ჰაბიტატების ანალიზამ აჩვენა, რომ საქართველოში დღესაც არის თახვისთვის შესაფერისი ჰაბიტატები. თახვები ბინადრობენ მტკნარ წყლებთან, ისინი უპირატესობას დამდგარ ან დუნე დინების

მქონე წყალსატევებს ანიჭებენ. იმ შემთხვევაში თუ მსგავსი ჰაბიტატი არ არსებობს, წყლის ნაკადის მაქსიმალურად შესამცირებლად, ისინი ჯებირებს აშენებენ. თახვები მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებიან, უპირატესობას ფართოფოთლოვანი ხეების ფოთლებს, ქერქს, ყლორტებს, წყლის მცენარეებს და ბალახებს ანიჭებენ. თახვის საქართველოს ველურ ბუნებაში დაბრუნებას გარემოზე არაერთი დადებითი გავლენა შეიძლება ქონდეს; მათ მიერ ხელოვნურად დაგუბებული ტერიტორიები განაპირობებს გრუნტის წყლების ლოკალურად მატებას, წყლის გაწმენდას, წყლის დინების შესუსტებამ კი წყლის უკეთ განაწილებას შეუწყოს ხელი. ხელოვნურად წარმოქმნილი წყალსატევები ხშირად ბიომრავალფეროვნების ზრდის წინაპირობას განაპირობებს.



გმლი (PERDIX PERDIX)

საერთაშორისო სტატუსი - LC

(ნაკლებად საგანგაშო)

ეროვნული სტატუსი - LC

(ნაკლებად საგანგაშო)

საშუალო ზომის ქათმისნაირია მცირედ გამოხატული სქესობრივი დიმორფიზმით. მონოგამები არიან. სხეულის სიგრძე საშუალოდ 30 - 33 სმ, წონა 300-დან 600-გრამამდე. მამრები მდედრებისგან მკერდზე არსებული დიდი ზომის ლაქით განსხვავდებიან. შეწყვილებას მარტის დასაწყისში, ბუდობას კი მაისი-ივნისის პერიოდში იწყებენ. ბუდეს მიწაზე იკეთებენ, საშუალოდ 20 კვერცხს დებენ; ინკუბაცია 21-26 დღე გრძელდება;

კრუხობს მდებრი. ფრენას 14 დღიდან იწყებენ. სქესობრივ სიმწიფეს 1 წლის ასაკში აღწევენ. ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ პალეარქტიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან - მონღოლეთამდე. საქართველოში მცირე კავკასიონზე, ჯავახეთის და სამსარის ქედებზე, წალკის და დმანისის პლატოზე, დიდ კავკასიონზე, ქართლის ზეგანზე, კვერნაკის ქედსა და ივრის ზეგანზე გვხვდება. პოლიფილეთური სახეობაა, აღწერილია 7 ქვესახეობა. საქართველოში ქვესახეობების შესწავლა არ მოხდა, ლიტერატურული წყაროების მიხედვით დიდ კავკასიონზე Perdix

perdix lucida, დანარჩენ ადგილებში კი Perdix perdix canescens-ია გავრცელებული. გნოლი მინდვრებსა და მდელოებზე, ველებსა და ნათესებში, დაბალი მთებისა და გორაკების ფერდობებზე, მეჩხერი ბუჩქნარებით, მაღალი ბალახნარებით, აგრეთვე მშრალ და მცირე თოვლიან ხევებში ბინადრობს. მისი გაქრობა ბიომრავალფეროვნების შემცირებას გამოიწვევს. მას დიდ საფრთხეს უქმნის არასწორი სანადირო მენეჯმენტი, ძოვება, მტაცებლები და სხვა ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ფაქტორები, შესაბამისად არის მოწყვლადი სახეობა.



აკაბი (ALECTORIS CHUKAR)

საერთაშორისო სტატუსი - LC

(ნაკლებად საგანგაშო)

ეროვნული სტატუსი - LC

(ნაკლებად საგანგაშო)

მიეკუთვნება ხობისებრთა ოჯახს (Phasianidae), ქათმისნაირების (Galliformes) რიგიდან. კაკბის ეს სახეობა გავრცელებულია კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთსა და ჩინეთში. კავკასიასა და ირანში კაკბის 14 ქვესახეობიდან ერთ-ერთი - Alectoris chukar kurdestanica არის გავრცელებული.

საშუალო ზომის ქათმისნაირია, სხეულის სიგრძე 34 - 38 სმ, წონა 500 - 700 გრამი. დედლები, მამრებთან შედარებით, ოდნავ პატარები არიან და თავზე ნაკლებ კონტრასტული შეფერილობა

აქვთ. შეწყვილება თებერვალ-მარტში იწყება; კვერცხებს აპრილში დებენ (ივრის ზეგანი), მაღალმთიან ჰაბიტატში შეიძლება რამდენიმე კვირით დაგვიანდეს. საშუალოდ 7-12 კვერცხს დებს; ინკუბაცია 22-25 დღე გრძელდება. მონოგამიურია, ბუდეს მიწაზე იკეთებს. ძირითადად მდებრი კრუხობს, იშვიათად მამრი, თუმცა წიწილებს როგორც მდებრი, ისე მამრი უვლის. ფრენას 7 - 14 დღეში იწყებენ. სქესობრივ სიმწიფეს ერთი წლის ასაკში აღწევენ. სახეობის არეალი საკმაოდ ფართოა და მოიცავს პალეარქტიკის ზომიერი სარტყელს: სამხრეთ ევროპაში - პირენეებს, ალპებს, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუაზღვის კუნძულებს, კავკასიას, წინა, შუა და ცენტრალური აზიას, ჰიმალაის მთებს, ტიბეტსა და მანჯურიას.

საქართველოში, როგორც მობინადრე ფრინველი გავრცელებულია როგორც მთავარ, ისე მცირე კავკასიონზე. საქართველოში გავრცელებულია ივრის ზეგანზე, მტკვრის ხეობის ზემო წელში და მცირე პოპულაციის სახით კვერნაკის ქედზე გვხვდება. პოლიფილეთური სახეობაა, ცნობილია 14 ქვესახეობა, საიდანაც საქართველოში მხოლოდ ერთი ქვესახეობა Alectoris chukar kurdestanica გვხვდება. კაკაბზე არაერთი მოქმედი საფრთხე ხელს უშლის პოპულაციების მდგრადობას, რაც საბოლოოდ სახეობაზე ნეგატიურად აისახება. სახეობაზე მოქმედი საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ბრაკონიერობა, ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია.

